Peterson (1893), Lewis (1902, 1910), Gardner (1959), Willis (1962), Oliver (1962) ან უკანონოა რა აღწერილობითი ემბრიოლოგიისა და უდაბლესი სერნებლიანების სემინტორებულ მეზოდერმიდან უბნების ექსტრაქციის ცდების შედეგებს, უარყოფენ კიდურების კნთების მოტორიზაციის წარმოშობას და თვლიან, რომ ისინი წარმოიქმნებიან ჩვეულებრივი მეზენქიმის უჯრედებიდან. ეს უჯრედები გარდაიქმებიან მობლასტებად. მოუხდავად ამ თეორიების არსებითი განსხვავებისა, მათი ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ მობლასტების შემდგომი განვითარება და დიფერენციაცია წარმოშობისაგან დამოკიდებულად მიმდინარეობს.

განვითარების ადრეულ სტადიებზე კიდურების მობლასტები კაძლიერებულად მრავლდებიან კარიკინების გზით, თუმცა შემდგომ მიტოვები წვდება და მობლასტები აზრდებიან სოგრებში. ზრდის პროცესში მათი ბირთვები განუწყვეტლო იყოფან. ვინაიდან ბირთვების დაყოფას თან არ ახლავს უჯრედის ხსეულის გაყოფა, ამიტომ მობლასტები გარდაიქმებიან წაგრძელებულ, მრავალბირთვიან წარმონაქმნებად - მოსიმპლასტებად. ხდება, ასევე, მობლასტების შერწყმა მოსიმპლასტებში. მოსიმპლასტების პროტოპლასტში ჩნდება წერილი კონტაქტი ძაფები - მოფიბრილები, რომელთა რაოდენობა სწრაფად იზრდება. დასაწყისში მოფიბრილებს ერთგვაროვანი სტრუქტურა გააჩნიათ, შემდეგ კი მათში შესაშინეი ხდება განეზოლიანობა. მოსიმპლასტები თანდათან გარდაიქმებიან გრძელი, ცილინდრული ფორმის წარმონაქმნებად. რომლებსაც კნთოვანი მილაკები ეწოდებათ.

კნთოვანი მილაკების შემდგომი დიფერენციაციის მსვლელობაში მოფიბრილების რაოდენობა მათში იზრდება, თითო მოფიბრილები უფრო წერილდება და ავსებენ კნთოვანი მილაკების ცენტრალურ ნაწილებს. ამის გამო ბირთვები თანდათან გადაინაცვლებენ პერიფერიაზე და კნთოვანი მილაკი გარდაიქმნება ახალგაზრდა კნთოვან ბოჭკოდ.

ემბრიონული პერიოდის დასასრულს მრავალ კნთში კნთოვანი ბოჭკოები იქნენ ზრდასრული ორგანიზმის კნთოვანი ბოჭკოსთვის დამახასიათებელ პისტოლოგიურ სტრუქტურას. ისინი განსხვავდებიან მცირე კალიბრით, კნთში უფრო ფაშარი განლაგებითა და განივ ჭრალში მოპრეგალი ფორმით. განვითარებულ კნთში კნთოვან ბოჭკოებს შორის საკმაოდ განივი შუალედები შეესებულა ფაშარი შემპურებელი ქსოვილით, რომელშიც გადის სისხლძარღვები და ნერვები. უჯვისა და კარნის მიხედვით (1963) ბრეტლით ომარენგაციის დროს მათში გამოვლენდება არეორიული ბოჭკოების უზარმაზარი რაოდენობა. ემბრიონების განვითარებადი კნთების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მათში განვითარების გარკვეულ სტადიაზე (უფრო ხშირად მე-3 თვეზე, 40-50 მმ სოგრის ნაყოფში) საკმაოდ დიდი რაოდენობის კნთოვანი მილაკების წარმოქმნა, რომლებიც ნეველბრივისგან გამოიჩევიან გვიანტური ზოებით, მილაკების ცენტრში ბეწეებად განლაგებული ბირთვების დიდი რაოდენობით, აგრეთვე ჰომოგენური პროტოპლასტით, რომელშიც ძნულად შესაშინეია. ან თითქმის არ ნანს

მათგობრილა. ეს წარმონაქმნები უფრო მოძველებული ნაყოფის კენთებში არ არის. აღმათ დროთა მსვლელობაში ისინი განიცდიან დევერენციას და ქრებან. ამგვარი კენთოვანი ელემენტების "ფიზიოლოგიური დევერენცია" მრავალჯერ იქნა აღწერილი როგორც ემბრიონების, ისე ზრდასრული ადამიანის კენთებში (B. Мартынов, 1937; Clara, 1955).

არსებობს შესაძლებლობა, რომ მოზღვასტებისა და ანალგვარდა ბოქკოების განვითარება და დევერენცია მომდინარეობდეს ნერვული სისტემისგან დამოუკიდებლად (Willis, 1962). Hower, (1935) მონაცემებზე დაყრდნობით, Willis (1962) მითითებს, რომ, თუმცა ნერვები ჩაიზრდებან კიდურების ჩანასახებში მე-8 კვირაზე, კიდურების კენთების კენთოვან ბოქკოებში პირველი მოტორული ნერვები ჩნდებან მნიშვნელოვნად გვიან, სხეულდობრენისა და ტანის კენთებში მე-2 კვირაზე, კიდურების კენთებში - 28-ე კვირაზე და მტკერის, ტერფის მკირე კენთებში - მხოლოდ დაბადების შემდეგ. აქედან გამომდინარე ჭილღის ასკენის, რომ მოტორული ინერვაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოზღვასტების დევერენციას, რომელიც ძირითადად ნერვული სისტემისგან დამოუკიდებლად ხდება.

ამ მონაცემების შეფასებისა და მათი ჩვენი კვლევის შედეგებთან შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნერვების ჩაზრდა კიდურებში ხდება გაცილებით ადრე: კერძოდ, არა მე-8 კვირაზე, არამედ 8 მმ სიგრძის ჩანასახში არე განვითარების მე-5 კვირის დასაწყისში. ამ დროს ვერ კიდევ შეუძლებელია განვითარებადი მოტომის გარჩევა მეზენქიმის ჩვეულებრივი უჯრედებისგან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ნერვული ბოქკოები ვერ კიდევ პრიმიტიულია და მათი შემდგომი დევერენცია ხდება ძალიან ნელა და მთავრდება გვიან ასაკში.

რეზუმე: ჩვენი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კიდურების მუსკულატურა და, აგრეთვე, თავისა და სხეულის ენტრალური კვლის კენთები ვითარდება ადრეულ ემბრიონებში მეზენქიმის უჯრედებთან, რომლებიც გარდაიქმნებიან მოზღვასტებად. შემდგომი მათი განვითარება - სპეციალიზაცია და დევერენცია მომდინარეობს, წარმოშობის დამოუკიდებლად, ისეთივე გზით, როგორც დანარჩენი კენთებისა, რომლებსაც მეზოდერმული წარმოშობა აქვთ.

ჩვენი კვლევის საბაზეს წარმოადგენს ისიც, რომ კიდურების, თავისა და სხეულის ენტრალური კვლის კენთების ინერვაცია, სხვა კენთებთან შედარებით (8 კვირა), ემბრიონებში უფრო ადრე ხდება - დასაბოლოებით მე-5 კვირის დასაწყისში.

### ლიტერატურა

1. Фалин Л.И. Эмбриология человека (атлас) М.: Медицина, 1976
2. Пэттен Б.М. Эмбриология человека (перевод с англ.) М.: Медгиз, 1979
3. Мартынов В. Физиологическая дегенерация мышечных волокон в зрелом и старческом возрасте. Арх. ЛГЭ, 1937, т. 17, стр. 220-232

4. Clara M. Entwicklungsgeschichte des Menschen Fünfte Auflage. G. Thime, Leipzig, 1955, 1966
5. Lewis W.H. The development of the muscular system. Chapter 12. "Human embryology". Philadelphia, 1910. pp. 454-522
6. Olivier G., "Formation du squelette des memres chez L'homme", Paris, Maffson, 1962
7. Gardner E. The prenatal development of the skeleton and muscles. I. Bone a joint Surg., 1959, #5, pp 847-870.

**Чипашვილი М., Имнадзе Л.**  
**ГИСТОГЕНЕЗ МЫШЦ МЯЖНИХ КОНЕЧНОСТЕЙ**  
**РЕЗЮМЕ**

Мускулатура конечностей, а также мышцы вентральной стенки туловища развиваются в раннем эмбриогенезе из мезенхимных клеток, которые в дальнейшем превращаются в миобласты. Дальнейшее их развитие – специализация и дифференциация происходит независимо от их происхождения.

Новизной нашего исследования является также то, что иннервация выше перечисленных мышц происходит ранее других, приблизительно в начале пятой недели.

**Chipashvili M., Imnadze L.**  
**HYSTOGENESIS OF THE UPPER LIMBS MUSCLES**  
**SUMMARY**

According to our survey we can assume that the skeletal muscles, also muscles of head and ventral wall develop from mesenchimal cells, which turn into myoblasts, during early embryogenesis. Their further development, specialization and differentiation continues independent from the origin by the same way as the other muscles, which have mesodermal origin.

Moreover our survey's newness represents also the innervation of extremities, the skeletal, head and ventral wall muscles compared to other muscles (8 weeks) occurs earlier - during the first days of 5-th week.

**კუტიკინაძე**

**აბრეშნიური ძეგვა და მისი კორმონულ-მედიატორული  
 ინტერმეტორები**

თსსუ, სამედიცინო ფიზიკის, ბიოფიზიკისა და კიბერნეტიკის კათედრა

აგრესიის შესწავლის აუცილებლობის დასაბუთება არ წარმოადგენს როდღ პრობლემას, იმდენად მრავალწახანაგოვანია თავად მოუღწიის შინაარსი. გარდა

წინდა სამეცნიერო ინტერესისა, ეს მოვლენა ყურადღებას იქცევს ენერო-უტლიტარული ვაგებითაც, როგორც ურიცხვი კონფლიქტების მიზეზი.

აგრისის ჩამოყალიბებისა და განვითარების მექანიზმებში, როგორც აღამინში, ისე ცხოველებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა პორმონებსა და ნეორომულიატორებს. არსებობს მრავალი, ვაზოგენური და ენდოგენური ქიმიური ნივთიერება რომელიც აძლიერებს უკვე ჩამოყალიბებულ აგრესიულ ქცევას. შუაგულს შერეო ცნობილია, რომ არსებობს აგრესიული ქცევის დასწავლის ფუნქციები, რომელიც როგორღაც უნდა ფიქსირდებოდეს მატერიალურად. მოუხდავად ამისა, დღესდღეობით ვერ მოხერხდა სპეციფიკური "აგრესიული" ნივთიერების გამოყოფა.

აგრესიული ქცევის ინდექტორებიდან, ლიტერატურაში ძირითადი ყურადღება ტესტოსტერონისა და კატექოლამინების აქვს დათმობილი. დადგინდა მათი მონაწილეობა აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში.

ცნობილია, რომ მამრების კასტრაცია ამცირებს შიდასახეობრივ აგრესიას. მისი აღდგენა შესაძლებელია ტესტოსტერონის პროსინატიის ინექციით. ანდროგენები ადვილებენ, როგორც თავდასხმით, ისე ტერიტორიულ ქცევასაც (1). რაც გამოკვლევებში ნაჩვენებია იქნა, რომ ტესტოსტერონის კონცენტრაცია კარგად კორელირებს სპონტანური აგრესიის დონესა და დომინირების მოთხოვნილებასთან (2).

კატექოლამინების სინთეზის დაბუხრევენა α-მეთილდარათორიზინით, ამცირებს მეტყვას ვირთაგებში, აგრესიას კატებსა და მაკაებში (3). ლიტერატურაში არის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სწორედ კატექოლამინები აგებენ პასუხს თავდასხმით ქცევაზე ცხოველებში შიდასახეობრივი აგრესიის დროს (4). სხვადასხვა სოციალური სტატუსის ვირთაგებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში, აფასებდნენ ტვინის ცალკეულ ბირთვებში კატექოლამინების რაოდენობას ენციფური სტრუქტურის შემდეგ (5). აღმოჩნდა, რომ დომინანტები კატექოლამინების (ადრენალინის, ნორადრენალინის, ლოფამინის) უფრო მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ნორადრენალინის და უკეთ იყო შესაძენვე იმ ბირთვებში, რომლებიც ყველაზე მეტად მონაწილეობენ პორმონულ რეგულაციაში. აგრესიული ქცევის დეტერმინანტად აღამინდოც, მის ტვინში კატექოლამინების კონცენტრაციის ცვლილებას (გაუმუდგულ და სეროტონინურულ მექანიზმებთან ერთად) თვლიან (6).

ჯერ კიდევ 1956 წელს D.H.Funksetin-ის მიერ განვითარებული იქნა კონცეცია, რომლის მიხედვითაც ფსიქოლოგიური სტრესები, რომლებიც დაკავშირებული არიან გარე გამოვლინების დაყოფებასთან (შიში, დეპრესია, შერიანობა, ტვიკილის მოლოდინი) დამოკიდებული არიან ადრენალინის სეკრეციაზე (რეაგირების ადრენერგული - პირობითად "კრდლის" ტიპი). ის ფსიქოლოგიური სტრესები, რომლებიც ხასიათდებიან გარე გამოვლინებებით (აგრესია, შრისხანება, გააფორება, აფექტი) ხასიათდებიან უპირატესად ნორადრენალინის გამოშუშებით (რეაგირების ნორადრენერგული - პირობითად "ლამის" ტიპი) (7). აგრეთვე ნაჩვენებია იქნა, რომ სიმასტოადრენული სისტემის უპირატესად მედიატორული ნაწილის აქტივაცია, განსხვავებით მისი

პორმონული ნაწილის აქტივაციისაგან, ამცირებდა ორგანიზმის მათხოვრებლას კორტიკოსტეროიდებზე (8). საინტერესოა, რომ კორტიკოსტეროიდების ბაზისური დონე დომინანტ ცხოველებში უფრო დაბალია, ვიდრე სხვა იერარქულ საფეხურზე მდგომ ცხოველებში (9). თუმცა სტრესის დროს უკეთ მოძილიზდება და უფრო მაღალ სიდიდესს აღწევს, რაც, თავის შხრივ, ადაპტაციის უკეთეს უნარზე მიუთითებს (10).

ჩვენი ექსპერიმენტების მიზანი იყო აგრესიული ქცევის პორმონული და მუცატორული ინდექტორების განსაზღვრა. ექსპერიმენტები ტარდებოდა დანამაყებზე, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იხდიან დანამაულს. ჩვენი ასეთი არჩევანი განაპირობა იმან, რომ აგრესიის დონე საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია და მხოლოდ გარკვეულ დევიანტურ ჯგუფებშია მაღალი.

ჩვენს მიერ, სერბსკის ინსტიტუტის რეპორტაციების მიხედვით (11) გამოყოფილი იყო ე.წ. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები. პირველში გაეერთიანეთ უკიდურესად აგრესიული დანამაულის ჩამდენი დანამაყები, ხოლო მეორეში კი შედარებით არააგრესიული დანამაულის ჩამდენები, მათ სისხლში ვსაზღვრავდით ტესტოსტერონის, ხოლო შარდში ადრენალინისა და ნორადრენალინის კონცენტრაციებს.

სისხლის პლაზმაში მამაკაცის სასქესო პორმონის - ტესტოსტერონის კონცენტრაციის შესწავლამ გვჩვენა, რომ უკიდურესად აგრესიული საკცოლის ჩამდენ დანამაყეთა (ექსპერიმენტული ჯგუფი) სისხლში მისი სიდიდე შეადგენდა  $25,5805 \pm 2,1038$  ნგ/მლ, მაშინ როცა სხვა დანამაყებში (საკონტროლო ჯგუფი) იგი  $19,0991 \pm 2,8988$  ნგ/მლ ტოლი აღმოჩნდა. მაშასადამე დაბლააგრესიულ დანამაყებში ტესტოსტერონის კონცენტრაცია 26%-ით უფრო დაბალი აღმოჩნდა ვიდრე მაღლააგრესიულ ინდივიდებში. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ განსხვავება მათ შორის არ არის სარწმუნო, რადგანაც თუკი ტესტოსტერონის კონცენტრაციის ცვლილებას ექსპერიმენტულურ და საკონტროლო ჯგუფებში დამოუკიდებლად მოგარიე სიდიდებად მივიჩნიეთ (სწორედ ასეთად გვევლინებთან ისინი), ამ შემთხვევაში სტრუქტურის  $t$  კოეფიციენტი 1,81-ის ტოლი აღმოჩნდება და მაშასადამე  $p > 0.05$ . მხვაეს შედეგს მივიღებდით მაშინაც კი, ტესტოსტერონის კონცენტრაციის მასსათებლები ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფის ადამიანებში უთიერთდაკავშირებულ მოგარიე სიდიდებად რომ ჩაგვეთვალა ( $t = 1,824$ ,  $p > 0.05$ ). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სისხლში ტესტოსტერონის კონცენტრაციის მიხედვით დანამაყეთა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება არე სტატისტიკური ნულთან კბითება ქვეშარტია.

შარდში კატეკოლამინების კონცენტრაციის განსაზღვრით აგრესიულ დანამაყეთა ჯგუფში გამოვლინდა, რომ ნორადრენალინის კონცენტრაცია  $23,3396 \pm 1,3124$  მკგ/დლულებში შეადგენდა, ადრენალინის -  $8,33 \pm 0,8619$  მკგ/დლულებში. მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის დანამაყებში კი შესაბამისად -  $18,2212 \pm 1,4614$  მკგ/დლულებში და  $7,9168 \pm 0,8853$  მკგ/დლუ

ღამებში. ნორადრენალინის კონცენტრაცია შუადრებით დაბალი აგრესიულობის მქონე დამნაშავეებში 22%-ით უფრო დაბალი იყო, ვიდრე აგრესიულ დამნაშავეებში, ხოლო ადრენალინის შემთხვევაში ეს ციფრი შიშალოდ 5%-ს შეადგენდა. სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნორადრენალინის კონცენტრაციის შემთხვევაში განსხვავება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა, რადგანაც დამოუკიდებლად მუდარით სიდიდეებისათვის სტიუდენტის კოეფიციენტი  $t=2,606$  ( $p<0.05$ ). ადრენალინის შემთხვევაში განსხვავება აღნიშნულ ჯგუფებს შორის არ იყო სარწმუნო ( $t=0,334$ ,  $p>0.05$ ).

კორელაციურმა ანალიზმა კენდელის არასამეტრული მეთოდის გამოყენებით გვიჩვენა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის დამნაშავეებში ნორადრენალინის კონცენტრაცია სუსტად კორელირებს (სტატისტიკურად არასარწმუნოდ) ადრენალინის კონცენტრაციასთან და საერთოდ არ კორელირებს სისხლის პლაზმაში ტესტოსტერონის კონცენტრაციასთან. ადრენალინისა და ტესტოსტერონის კონცენტრაციებს შორის სუსტ უარყოფით კორელაციას (სტატისტიკურად არასარწმუნო) ქონდა ადგილი. საკონტროლო ჯგუფში შესწავილილ მარცხებებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათი ვარკვეულირად განსხვავებულად ექსპერიმენტისაგან. მოავართ განსხვავება მდგომარეობდა შემდეგში: ნორადრენალინისა და ადრენალინის კონცენტრაციებს შორის ადგილი ქონდა საკმაოდ მკაფიო დადებით კავშირს, რომელიც სტატისტიკურად სარწმუნო იყო ( $p<0.05$ ). რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ ორი მარცხების მარკველირებულ მექანიზმებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობაზე. ნორადრენალინისა და ტესტოსტერონის, აგრეთვე ადრენალინისა და ტესტოსტერონის კონცენტრაციებს შორის კორელაცია მსგავსად ზემოთმოყვანილისა. ასევე უარყოფითი იყო, ოღონდ მონაკლები სტატისტიკურად არასარწმუნო აღმოჩნდა.

ეს მონაკლები პრინციპულად არ ეწინააღმდეგებათ ლიტერატურაში არსებულს. უფრო მეტიც - აზუსტებენ მათ. საქმე იმაშია, რომ ტესტოსტერონი, რასაკვირველია, მონაწილეობს მამრისათვის დამახასიათებელი ქვეითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში - მათ შორის აგრესიული ქცევისას, მაგრამ თავად აგრესიული ქცევა უმრავლეს შემთხვევაში პროვოცირებულია ემოციური სტრესით. ხოლო ქრონიკული ემოციური სტრესი (უმრავლეს შემთხვევებში - შწეავეც), ამცირებს ტესტოსტერონის სინთეზს (12, 13). ბუნებრივია, რომ დამნაშავეები, რომლებიც დანაშაულის აღკვეთის ადგილებში არიან. ქრონიკული სტრესის მდგომარეობაში იმყოფებიან და ანდროგენების სინთეზი დაორგუნული აქვთ. ყველაზე ადვილია სწორედ ამ მოზეზით აეხსნათ ტესტოსტერონის კონცენტრაციის სტატისტიკურად არასარწმუნო განსხვავება აგრესიული და არააგრესიული საქცილის ჩამდენ დამნაშავეებს შორის. ასევე ცნობილია, რომ ხანგრძლივი ქრონიკული სტრესი ამცირებს, აგრეთვე, ნორადრენალინის კონცენტრაციასაც, მათ შორის სისხლშიც (14, 15). მაშასადამე, უფრო ლოგიკური იქნება ათხსნას აგრესიასა და ნორადრენალინის კონცენტრაციის შორის სტატისტიკური კავშირის არსებობა, ამ ორ სიდიდეს შორის ფუნქციური კავშირის არსებობით, მაშინ როდესაც აგრესიასა და



ტესტოსტერონის შორის ასეთი მყარი კავშირი არ არსებობს. მოცემული მონაცემების საფუძვალზე შეიძლება ვთქვათ, რომ «გაუნაწილებელი» დომინანტ ორგანიზმებს («გაუნაწილებლებისაგან» განსხვავებით) აღნიშნულ ტესტოსტერონის ისეთვე დინამიკა, როგორც აქტი სუბდომინანტ მამრებს (9).

როგორც ჩანს, სწორედ ნორადრენალინი წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს აგრესიულ ქცევას. ეს ლოგიკურია, რადგანაც აგრესია ასევეა პირველ რიგში, ფრესტრაციაზე – ემოციურ სტრესზე, რომლისადმიც ევქეტური ადაპტაცია შეუძლებელია სიმპათიკური ნერული სისტემის აგზნების გარეშე, ხოლო ამ სისტემის პოსტგანგლიონური ბოჭკოების მედიატორი კი – ნორადრენალინი.

#### ლიტერატურა:

1. Пошивалов В.П. Экспериментальная психофармакология агрессивного поведения. Л., «Наука», 1986, 175 с.
2. Christiansen K., Krusmann R. Androgen levels and components of aggressive behavior // *Hormones and Behavior*, 1987, 22, p. 170-180.
3. Miczek K., Debold J. Hormone-drug interactions and their influence on aggressive behavior // *Hormones and Aggressive Behavior*, N.Y. Plenum Press, 1983, p.313-347.
4. Clancy A. N., Coquelin A., et al., *J. Neurosci.*, 1984, v.4, №9, p. 2222-2229.
5. Белова Т. И., Кветнанский Р. и др. Вызванные иммобилизационным стрессом изменения отдельных ядер мозга крыс, различающихся по зоосоциальному рангу // *Бюлл. exper. биол. и медиц.*, 1990, т. 109, № 4, с. 323-324.
6. Мальцева М. М., Котов В. П. Опасные действия психически больных, М.: Медицина, 1995, 232с.
7. Васильев В. Н., Чугунов В. С. Симпатико-адреналовая активность при различных функциональных состояниях человека, М.: Медицина, 1985, 272 с.
8. Кассиль Г. Н. Внутренняя среда организма, М.: Наука, 1983, 226 с.
9. Саполски Р. Стресс в природе // *В мире науки*, 1990, № 3, с.50-57.
10. Мошкин М. П., Фролова О. Ф. Особенности специфической адаптации к холоду и их связь с агрессивным поведением у домашних мышей // *Бюлл. exper. биол. и медиц.*, 1989, № 9, с. 345-348.
11. Горинев В. В., Пережогин Л.О. Агрессия при расстройствах личности (<http://www.rusmedserv.com/psychsex>)
12. Динзбург А. Л., Чирков А. М., Чиркова С. К., Войт И. С. Стрессиндуцированные изменения поведения и функции нейрогуморальных систем у обезьян различного социального ранга // *Бюлл. exper. биол. и медиц.*, 1992, т. CLIV, №11, с. 457-459.
13. Алешин Б. В., Болдаренко Л. А. Стресс, адаптация и функциональные нарушения. Кишинев.: Штиинша, 1984, с. 11-12.

14. Вальдман А. В., Бондаренко Н.А., Молокова А. А. – в. кн. Механизмы развития стресса, Кидшинева.: Штინица, 1987, с. 79-99.
15. Ковалев О. А., Коровин К. Ф., и др. Особенности изменений кровообращения и адренергической активности при помешении крыс в тесную клетку и их иммобилизации на стенке // Патол. физиол. и Экспер. терап, 1988, №1, с. 29-32.

**ჩიჩინაძე კ.  
 АГРЕССИВНОЕ ПОВЕДЕНИЕ  
 И ЕГО ГОРМОНАЛЬНО-МЕДИАТОРНЫЕ ИНДУКТОРЫ  
 РЕЗЮМЕ**

Исследования концентрации тестостерона, адреналина и норадреналина в крови и моче преступников, совершивших агрессивные и неагрессивные преступления, показали, что именно норадреналин является фактором, в наибольшей мере определяющим формирование агрессивного поведения.

**Chichinadze K.  
 AGGRESSIVE BEHAVIOR AND ITS HORMONAL AND  
 MEDIATOR INDUCTORS.  
 SUMMARY**

After searching of testosterone, epinephrine and norepinephrine concentration in aggressive and non-aggressive criminals urine, we found that norepinephrine is exactly responsive for aggressive behavior.

კ.ჩიჩინაძე, ზ.ხინაურიძე, მ.ღვრიძე  
 ანდროკრინული უწყვიფრობის გავრცელების  
 მისტიტიური და აპრინატალური ასეპტების შემასწავა  
 ქობილისის პრინციპული.  
 თბსუ, მეანობისა და გინეკოლოგიის №1 კათედრა

ანდროკრინული უწყვიფრობის სუფრითი წილი უწყვიფობის სტრუქტურაში საკმაოდ მაღალია და შეადგენს 35-40%-ს (1).

თითქმის ყველა ავტორის მიერ აღიარებულია ინდუცირებულ ორსულობათა და მშობარობებისთვის დამახასიათებელი ისეთი გარულებების არსებობა, როგორცაა: მოსალოდნელი ამორტი, თუთნებითი ამორტი, ნადრევი მშობარობა, პესტიზუბი, სანშობარო მუქედების სისუსტე, სანაყოფი სითისის ნადრევი დაღრა, სანაქარო სისსლდეწები, მოსამშობარებულ ოვრაცათა მაღალი სიხშირე(1, 2, 4, 5)

ამასთან, ურთიანი მოსაზრება ინდუცირებულ ორსულობათა პერინატალური ასექტების შესახებ არ არსებობს ზოგი ავტორი მიიწეებს, რომ აშკარ შემთხვევებში ნაყოფის განვითარება და ახალშობილთა მღვობარობა

შესამუშაო ნორმას (3, 8). რიგი აუტორებისა (1, 2, 6, 7) გუთავაზობს განსხვავებულ მონაცემებს, კერძოდ პრენტალური მიპოტროფიების, სპორული და განათარების მანქების სიხშირის გაზრდის შესახებ.

წყნარ მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მოსახლეობაში ენდოკრინული უწყაფობის მკურნალობის გესტაციური და პრინატალური ასპექტების ცალკეული საკითხების შესწავლა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

ენდოკრინული უწყაფობის ნოზოლოგიური დაენოსტიკა, სათანადო მკურნალობა, ორსულობათა ვერიფიკაცია, ორსულობის საწყის ვადებზე ზღამშეცვლაობა ძირითადად მიმდინარეობდა ი. ჟრდანიას სახ. ადამიანის რებოდექციული ფუნქციის ს/კ ინსტიტუტში. ორსულობის მე-3 ტრიმესტრისა და ნაწყებულ, მშობიარობის პრაციების ჩათვლით, მინიტორინგი მიმდინარეობდა ქ. თბილისის სხვადასხვა სამედიცინო სტაციონარებში გამოყენებული იქნა მათი საარქივო მასალა.

წყნარ მიერ შესწავლილ იქნა ინდუცირებული ორსულობის მიმდინარეობის და გამოხადის 105 შემთხვევა. ქალების ასაკი მერყობდა 20-დან 38წლამდე უწყაფობის ხანგრძლივობა შეადგენდა 2-დან 13 წლამდე პირველი უწყაფობა აღნიშნებოდა 66 ქალს, მორადი - 39-ს. პირველ ვადეში გაერთიანდა 46 ქალი, ანაშენში საკერესების პირველი პოლიტორიზი; ყველას გაკეთებული ქიონდა ოპერაცია - საკერესების სოლისებური რეზექცია; 15 შემთხვევაში ჩატარებული იყო დამატებითი მკურნალობა ესტროგენ-გესტაციური პრეპარატებით, ხოლო 12 შემთხვევაში - ოვულაციის სტიმულაცია კლომიფენით. მორად ვადეში შევიდა 23 ქალი ცენტრალური ფორმის ანოვულაციით. მათ უმრავლესობას ჩატარებული ქიონდა რედექციული დეტორეაცია, 12-ს მიღებული ქიონდა სინთეზური პრეგესტინები, ხოლო 13-ს კლომიფენი. შესამე ვადეში შევიდა 15 ქალი, პოსტპერტალური ადრენოგენიტალური სინდრომით. ყველა მათგანს ჩატარებული ქიონდა მკურნალობა გლეკოკორტიკოიდებით და კლომიფენით, ხოლო 9-ს სინთეზური პრეგესტინებით. მორად ვადეში გაერთიანდა 21 ქალი ფუნქციური მიპრპროლაქტინემიით, რომელთაც ჩატარებული ქიონდა მკურნალობა პარალოფით, ხოლო 11-ს დამატებით - კლომიფენით.

საკონტროლო ვადეში განისაზღვრა 100 ქალი, 18-დან 40 წლამდე ასაკის, რომელთაც ანაშენში არ აღნიშნებოდათ უწყაფობა.

განალიზებულ იქნა შემთხვევებულ შემთხვევათა აღმუშავებული ინდივიდუალური ბარათები, ვაკულ-გამოცვლის ბარათები, მშობიარობების და ანალიზობილია ისტორიები, ხოლო პრინატალური კლდეის პრაციებში წარმოება ანალიზობილია დაწერილებითი ფუნქციური შესწავლა და საკონტროლო შემთხვევაში მათი კლინიკურ-გენეტიკური ანალიზი. პრენტალურ პერიოდში წარმოება ულტრაბგერითი და კარდიოტოკოგრაფიული მინიტორინგი.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ ძირითად ვადეებში ორსულობათა უღდეგი უმრავლესობის მიმდინარეობა სასიამოვნო სხვადასხვა ხანის გართულებებით. ყველაზე ხშირ გართულებებს, რომელთა მიხედვითაც

აღინიშნა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ( $p < 0,05$ ), მიეკუთვნებოდნენ: მოსალოდნელი და დაწყებითი აბორტის ნიშნები, თვითნებითი აბორტები, ნადრევი მშობიარობები, ქესტოზები. მოსალოდნელი და დაწყებითი აბორტების ნიშნები ძირითად ჯგუფებში აღინიშნა 42%-ში, საკონტროლო ჯგუფში - 17%-ში. ორსულობის მოშლის ნიშნები უფრო ხშირად გვხვდებოდა I ტრიმესტრში. თვითნებითი აბორტები ძირითად ჯგუფში აღინიშნა 15,6%-ში, საკონტროლო ჯგუფში - 5,2%-ში. ეს მონაცემები ძირითადად ემთხვევა სხვადასხვა ავტორთა შედეგებს. ცალკეული კლინიკური ჯგუფების მიხედვით ანალიზმა აჩვენა, რომ თვითნებური აბორტების სიხშირის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა II და III ჯგუფებში.

ნადრევი მშობიარობათა სიხშირე ძირითად ჯგუფში დაფიქსირდა 9,6%-ში, საკონტროლო ჯგუფში - 4,4%-ში. სხენებული გართულების სიხშირის მატება განსაკუთრებით შეიმჩნეოდა II და III კლინიკურ ჯგუფებში.

ქესტოზის სიხშირე ძირითად ჯგუფში აღინიშნა 38,4%-ში, საკონტროლო ჯგუფში - 10%-ში. ქესტოზები უმეტეს შემთხვევაში იყო თანდაართული და შესაბამისად ხასიათდებოდა ადრეული გამოვლინებით და მდგრადი მიქციონარობით. ქესტოზების სიხშირე ცალკეულ კლინიკურ ჯგუფებში არსებითად არ განსხვავდებოდა.

მშობიარობის პროცესის ყველაზე ხშირ გართულებებს, რომელთა მიხედვით სხვაობა ძირითად და საკონტროლო ჯგუფებს შორის იყო სტატისტიკურად სარწმუნო ( $p < 0,05$ ), წარმოადგენდა: სანაყოფე სითხის ნადრევი (ადრეული) დაღერა, სამშობიარო მოქმედების I-ლი და II-ლი სისუსტე, საშვილსნოს პაოტორული სისხლდენები.

სანაყოფე სითხის ნადრევი (ადრეული) დაღერა აღინიშნა 38,2%-ში, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 24%-ში. სამშობიარო მოქმედების I-ლი და II-ლი სისუსტე ძირითად ჯგუფში 30%-ში, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 7%-ში.

სხენებული გართულებები უფრო მეტად იყო განხილული და II კლინიკურ ჯგუფებში.

საშვილსნოს პაოტორული სისხლდენები ძირითად ჯგუფში შეგვხვდა 14,6%-ში, საკონტროლო ჯგუფში - 6,2%-ში. ამ უკანასკნელის სიხშირე თანაბრად იყო მომატებული ცალკეული კლინიკური ჯგუფების მიხედვით.

დამძიმებულმა სამეანო ანაშენმა, გესტაციური და პერინატალური ხასიათის გართულებებმა ბუნებრივთა გამოიწვია საციცისო კეთის ოპერაციების სიხშირის ზრდა, რამაც ძირითად ჯგუფში შეადგინა 30%, საკონტროლო ჯგუფში ანალოგიური მონაცემი უდრიდა 7,5%-ს. ოპერაციათა უდიდესი უპრავლესობა ტარდებოდა შედარებით-კომპლექსური ჩვენებით, უპრავტესად ნაყოფის ინტერესების გათვალისწინებით. ცალკეულ კლინიკურ ჯგუფებში აღინიშნებოდა სხენებელი პარამეტრის სიხშირის თანაბარზომიერი მატება.

ჩვენს მიერ დადგენილი მონაცემები ნაყოფის პრენატალურ დისკომპარტთან დაკავშირებით ხრულად ემთხვევა ოლიტრასტურულ

მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც სამეზობლო გართულებების მაღალი სიხშირე, ქალაქის პირამორფოლოგიური და ფერმენტული აქტივობის დარღვევა არაკეთილსამებლო მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე ასე მაგალითად, ძირითად ვეგეტში ნაყოფის პრენტალური ქიპიტროფის სიხშირე უდრდა 12%-ს, საკონტროლო ვეგეტში - 1,8%-ს. პრენტალური ქიპიტროფის სიხშირე ძირითად ვეგეტში შეადგინა 32,5%, საკონტროლო ვეგეტში - 8,8%. ახალშობილთა ასეთი სიხშირე ძირითად ვეგეტში უდრდა 26%-ს, საკონტროლო ვეგეტში - 6,5%-ს. სხვაობა ყველა აღნიშნულ გართულებათა სიხშირის შორე იყო სტატისტიკურად სარწმუნო ( $p < 0,05$ ). ხსენებული გართულებები შედარებით ნაკლებად შეიმჩნეოდა მეთოხე კლინიკურ ვეგეტში. განსაკუთრებული ყურადღებით მიმდინარეობდა ნაყოფებისა და ახალშობილთა განვითარების თანდაყოლილი მანკების აღნუსხვა. ამ ინტერესს აღიარებდა არსებული ლიტერატურული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც პირამორფი დისბალანსით მიმდინარე გარეგანოეზური დაგეგმების დროს დარღვეულია არა მხოლოდ ფუნქციონირების, არამედ გამეტოგენეზის პროცესი (2).

ძირითად ვეგეტში სხვადასხვა სახის განვითარების თანდაყოლილი მანკები დაფიქსირდა 13,5%-ში (როგორც სარჩეო, ასევე პრესტიჟული ფეროტაჟური კლუბის მასალები), საკონტროლო ვეგეტში - 2,5%-ში ( $p < 0,05$ ). ხსენებული პათოლოგია აღინიშნებოდა I, II და III კლინიკურ ვეგეტებში. მღებელი მანკებლები რამდენიმე სკარბოს ლიტერატურაში ცნობილ ანალოგურ მონაცემებს (1, 5). ძირითად ვეგეტში დაინოსიარებული განვითარების მანკების სპექტრი იყო შემდეგი სახის: დისემბროგენული სტიგმები, იზოლორებული მანკები, სისტემური მანკები. არ შეგვხვდნოა მრავლობითი განვითარების მანკების არც ერთი შემთხვევა.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მღებულ იქნა შემდეგი დასკვნები: ქრომოსომული უნაყოფობის მკერნალობის შედეგად ინდუცირებული ორსულობა ხასიათდება შემდეგი გართულებებით: მოხალღნული და დაწყებითი ამორტის ნიშნები; თვითნებითი ამორტები; პესტოზები; ნადრევი მშობიარობები. მშობიარობის პროცესი ხასიათდება შემდეგი დარღვევებით: სანაყოფე სითხის ნადრევი (ადრეული) დაღრვა; სმშობიარო მოქმედების I დი და II დი სისუსტე; სპეილონოსი ქიპიტროფი სისხლდენები.

ინდუცირებული ორსულობა ხასიათდება პერინტალური პროფიდის შემდეგი გართულებებით: პრენტალური ქიპიტროფია; პრენტალური ქიპიტროფი; განვითარების თანდაყოლილი მანკები.

თუ ქრომოსომული უნაყოფობას ანამნეზში მორეგი ორსულობის დროს დაემატა გესტაქიური ხასიათის ზემოაღნიშნული ერთი ან რამდენიმე გართულება, მშობიარობის მართვის შეწყვეტის მეთოდით უნდა ჩაითვალოს საკეთრო კეთის ოქტაცია, როგორც ნაყოფისთვის უფრო დამზოგელო.

დაბოლოს, მიზანშეწინაღობად მიგუანია რამდენიმე პრეტერული რეკომენდაციის შემოთავაზება:

1. თვითნებითი ამორტით ინდუცირებული ორსულობის დასრულების შემთხვევებში საჭიროა ემბრიონის (ნაყოფის) სრულყოფილი ფეროტაჟური

და საქორების შემთხვევაში - კლინიკურ-გენეტიკური გამოკვლევა, რათა დაზუსტდეს რეალური პარამეტრები მორფოგენეზის დარღვევის სისძირის და ხასიათის მხრივ.

ინდუკირებული ორსულობის და შობიარობის შედეგად თანდაყოლილი ანომალიების მქონე ახალშობილის დაბადების შემთხვევაში საქორაა სრულყოფილი კლინიკურ-გენეტიკური გამოკვლევა (ფენოტიპი, ციტოგენეტიკა, ღერმტოვლოფიკა, გენეალოვია და სხვ.) ნოზოლოგიური დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, რაც თავის მხრივ ადგენატური მკურნალობის, პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის საწინდარია.

შედარებით-კომპლექსური ჩვენებით (უპირატესად ნაყოფის ინტრესებიდან გამოძლინარე) საკისრო კეთის წარმოების წინ უნდა გამოვიზინოთ ე.წ. „ტერატოლოგიური“ სფეროზე. ეს გულისხმობს პრენატალური დიაგნოსტიკის მეთოდებით (ექოსკენირება, ალფა-ფეტოპროტეინი) ოპერატული გამოკვლევის გზით ნაყოფის თანდაყოლილი მანკების შეღებვისდაეგვარად გამოიყენება.

#### ლიტერატურა:

1. Алиева Э.А., Пшеничникова Т.Я., Волков Н.И. Результаты терапии эндокринного бесплодия. Ж. „Акушерство и гинекология“, 1987, №9, с.11-14.
2. Игитова М.Б. Особенности течения беременности и родов у женщин, леченных по поводу эндокринного бесплодия. Ж. „Акушерство и гинекология“, 1986, №12, с.18-21.
3. Овсянникова Т.В., Пшеничникова Т.Я., Ж. „Акушерство и гинекология“, 1987 №4, с.32-35.
4. Татевосян М.С. Гормональные перестройки и особенности течения беременности и родов у женщин с индуцированной беременностью. Автореферат дисс. ... к.м.н., Тбилиси 1990.
5. Хейфец С.Н., Игитова М.Б. Перинатальная патология у потомства женщин, лечившихся по поводу эндокринного бесплодия, и пути её спокення. Ж. „Акушерство и гинекология“, 1991, №4, с.52-55.
6. Ahlyren M., Kollen B., Ranlevik G. „Acta obstet. gynec. scand.“ 1976, vol. 55, №4, p. 371-375.
7. Caspi E., Ronen G., etc. „Brit. J. Obstet. Gynaec“, 1976. vol83, №12, p. 967-973.
8. Kurachi K., Aono I., etc.s „Fertil. and Steril.“ 1983, vol. 40, №1/2., 187-189.

Харабадзе К., Синаურიძე ჯ., Дучიძე Ш.,  
**ОЦЕНКА ГЕСТАЦИОННЫХ И ПЕРИНАТАЛЬНЫХ АСПЕКТОВ  
ЛЕЧЕНИЯ ЭНДОКРИННОГО БЕСПЛОДИЯ В НАСЕЛЕНИИ Г. ТБИЛИСИ.**  
РЕЗЮМЕ:

Изучено 105 случаев течения и исхода беременностей, индуцированных в результате лечения эндокринного бесплодия. Исследования проводились в 4-х нозологических группах. Установлены особенности течения индуцированных беременностей и родов, а также осложнения перинатального периода.

Отмечена более высокая частота проявляемости врожденных пороков развития (13,5%), по сравнению с литературными данными. Рекомендовано о соблюдении т.н. «тератологической» осторожности, что подразумевает целесообразность применения методов пренатальной диагностики перед проведением операции кесарева сечения.

Charabadze K., Sinauridze Z., Duchidze S.  
**GESTATION AND PERINATAL ASPECTS ASSESSMENT IN TREATMENT OF  
ENDOCRINE INFERTILITY IN 'TBILISI' POPULATION.**  
SUMMARY

Was studied 105 pregnancies, which was induced occur treatment of endocrine infertility. Investigations was conduct in 4 nosological groups. Was determined peculiarity of development of pregnancies, labor and perinatal' period complications.

Was find high percent of malformations (13,5%) compare with statistics data.

Was given recommendation about „teratological“ dangerous, it means expedient is used prenatal diagnostics before C-section.

ო. ხარაბეიშვილი, რ. ჩიხლაძე  
კიბლაძის ბრტყლის დაზიანების სახეები და მისი  
ბრტყლოვანი თავისებურებები  
თსუ, პათოლოგიური ანატომის კათედრა

ქალბერი, კრძოდ სასხსრე ბრტყლის დაზიანების შევასების, აღტყრაცია ჩვეულებრივ კვლავიტირდება როგორც "ბრტყლის დეგრადაცია" ან "ბრტყლის დეგრადაცია" (vC.Mow,W.Zhu, A.Ratcliff 1991; M.Bouysset 1998 და სხვ.), ტყმინებით, რომელთა არსიც ბუნდოვანი და ვარკვევლია. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დღეს-დღეობით არ არსებობს ჩამოყალიბებული, სისტემატიზებული ცნობები ბრტყლოვან ქსოვილში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების თავისებურებათა შესახებ. ამიტომაც ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ ქალბერი ბრტყლის დაზიანების ბორჟოლოგიურ გამოზატყლებათა სახეებისა და თავისებურებების დაცება.

ქალიწური ზრტილის დაზიანება შესწავლილი იყო ოსტეოართროიტის დროს სასახსრე ზრტილში მომდინარე ალტერაციის მაგალითზე, რომლის განზოგადებაც დასაშვებად მივიჩნით მისი არასპეციფიკურობის გამო. ართროზური ზრტილის ცელესისთვის გამოყენებული იყო ავადმყოფთა ოპერაციული მასალა (200 შემთხვევა), მიღებული სამკურნალო მიზნით ჩატარებული ოპერაციების შედეგად, და ექსპერიმენტული მასალა. მენჯ-ბარძაყის სასხრის ოსტეოართროიტის ექსპერიმენტული მოდელი (რ. ჩიხლაძე 1998) შექმნილი იყო 18 ზრდასრულ უეციმო ძაღლზე. ხსენებული მასალა გამოკვლეული იყო როგორც მაკრო-, ისე მიკრომორფოლოგიურად (ჰისტოლოგიური, ჰისტოქიმიური და ელექტრონულიმიკროსკოპული) მეთოდებით.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგების ანალიზს გვიჩვენა, რომ შეიძლება გავარჩიოთ ქალიწური ზრტილის დაზიანების მორფოლოგიურ გამოხატულებათა (დისტრაფიის) სამი სახე: ზერეულ ღეზორგანიზაცია, ღრმა ღეზორგანიზაცია და ქონდროკალცინოზი.

ქალიწური ზრტილის ზერეულ ღეზორგანიზაცია ეწოდეთ სასახსრე ზრტილის ართროზურ დაზიანებათა პირველ მორფოლოგიურ გამოხატულებებს. მაკროსკოპულად ასეთი ზრტილი დაბინდული, შემკვრეული და შემუშებულია; მისი დრეკადობა და ამორტიზატორული თვისებები დაქვეითებულია. სასახსრე ზედაპირზე აღინიშნება ცალკეული, ზედაპირული ქოზოები, რაც მისი სიღლეუსა და კონგრუენტობის დარღვევას იწყვეს. ჰისტოლოგიურად სასახსრე ზრტილში შენარჩუნებულია ყველა ზონა, თუმცა დარღვეულა ცალკეულ ზონებს შორის თანაფარდობა. ელექტრონულ-მიკროსკოპულად იგი ხასიათდება ტერიტორიათაშორის მატრიქსში პროტეოგლიკანების აგრეგატების რაოდენობის შემცირებითა და სუპერაგრეგატების სრული გაქოზობით, რაც პროტეოგლიკანების ცილოვანი კომპონენტების ცლილებებით არის განსირობებული. ამიტომაც ითვლება, რომ ქალიწური ზრტილის ზერეულ ღეზორგანიზაციის აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდნენ მეაუე და ნეიტრალური პროტეინაზები, რომლებიც პროტეოგლიკანების შემადგენლობაში შემავალ შემაკემორებულ ცილებზე მოქმედებენ (K. Inui, Y. Yutani, A. Sakawa et al., 1993). აღნიშნულს თან ახლავს გლიკოზამინოგლიკანების გადანაწილება, მათი მოლეკულების ზომების შემცირება და, შესაბამისად, რაოდენობის გარკვეული მომატება, რაც გლიკოზამინოგლიკანების დეკოლიმერაზაციაზე მეტყველებს; ამ უკანასკნელის შედეგად უჯრედშირის ნეოთერებაში იზრდება წყლის შემცველობა. ზრტილოვან მატრიქსში მომდინარეობს კოლაგენური ბოჭკოების გადანაწილება, რის შედეგადაც იცვლება ხსენებულ ბოჭკოთა ბადის სისშირე და სერიოზო სურათი, თუმცა საკუთრივ ბოჭკოთა შენების სპეციფიკურობა შენახული რჩება, ისევე როგორც ქონდროციტების ულტრასტრუქტურული ორგანიზაცია.

ზრტილოვანი ქოვილის ღრმა ღეზორგანიზაცია ეწოდეთ მძიმე ართროზულ დაზიანებათა მორფოლოგიურ გამოხატულებებს. იგი ვითარდება წინამორბედი ზერეულ ღეზორგანიზაციის ფონზე. მაკროსკოპულად ასეთი სასახსრე ზრტილი "დაბინძილი" შესახედაობისა და უსწორმასწორო



ზედაპირი აქვს; ჰალონური ზრტილი ალავ გაფაშრებული და დარბილებულია, ალავ კი პირიქით გამკვრივებული და გაუხეშებულია. მას მკვეთრად დაქვეითებული აქვს დრეკადობა და ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ პროტექტორულ ფუნქციას. ჰისტოლოგიურად ზრტილში აღინიშნება პირიონტალურად და ვერტიკალურად ორიენტირებული ნაპრალები; სასახსრე ზრტილის შენების ზონურად დარღვეულია ელექტრონულიმიკროსკოპულად კოლაგენური ბოჭკოები განიციდან დეფოზილაციას და ფრაგმენტაციას, სრულ დეზორგანიზაციამდე. ბოჭკოების ფრაგმენტები და დეზორგანიზაციის პროდუქტები ალავ აგრეგირებულია, რასაც უმეტესა ძირითადი ნივთიერების რღვევის შედეგად წარმოშობილი ნართები და სინოვიური სისხლიდან გადმოსული ნივთიერებები. ყოველივე ეს ვლინდება ელექტრონულად მკეროვი მასების სახით. ზრტილში ალავ ვლინდება პიდრატაციის მოვლენები და კოლიკაციური ცვლილებები, ალავ კი - დეჰიდრატაცია და კოაგულაციური ნეკროზი. ჰისტოქიმიურად ზრტილოვან ქსოვილში გამოხატულია გლიკოჰამინოლიკანების გადაწევილება, საერთო რაოდენობის შემცირების ფონზე, რაც უგრედმორის ნივთიერებაში განაპირობებს ალავ ე.წ. "სუბერპიდრატაციის", ალავ კი - დეჰიდრატაციის მოვლენებს. ზრტილოვან ქსოვილში აღინიშნება სრული დეზორგანიზაციის უბნები, ალავ კოაგულაციური, ალავ - კოლიკაციური ნეკროზის სახით.

ქონდროკალინოზი ეწინააღმდეგება ართროზურ სასახსრე ზრტილში მიმდინარე გაკოტვის პროცესს. იგი წარმოადგენს ჰალონური ზრტილის კალციფიკაციის პროცესის დარღვევის გამოხატულებას. სასახსრე ზრტილი ამ დროს მკვეთრად დაბინდული, გათხლებული, გამკვრივებული და მყიფეა; მას დაკარგული აქვს ელასტიურობა და დრეკადობა. ჰისტოლოგიურად - მნიშვნელოვნად გაზრდილია კალციონირებული ზონის სისქე, ხოლო არაკალციონირებული ზონა, პირიქით, გათხლებულია. სასახსრე ზრტილის ღრმა ზონებში აღინიშნება სისხლის მიღების ინვაზია. კოსას მეთოდით შეღებულ ჰალონურ ზრტილში ვლინდება კალციუმის გაზრდილი შემცველობა. ულტრასტრუქტურული გამოკვლევებით დადგინდა, რომ პიროფოსფატისა და პიდროქსისატიტის დეპოზიტები იმყოფებიან უგრედმორის ნივთიერებაში. სასახსრე ზრტილის ზედაპირულ და გარდამავალ ზონებში წერილი და საშუალო ზომის აბგვარი დეპოზიტები განლაგებული არიან კოლაგენურ ბოჭკოებს შორის. ზოგჯერ კალციუმის დეჰიდროპიროფოსფატის და პიდროქსისატიტის კრისტალური დეპოზიტები აღინიშნება უზურების მახლობლად და ფიდროზული ზრტილის მიდამოებში. უგრედმორის მატრიქსში იხრდება კალციუმის დიჰიდროფოსფატისა და აპატიტის კრისტალების დეპოზიტების შემცველი ევზიკულების რაოდენობა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ზრტილში სისხლის მიღების ინვაზიისა და სხვა მიზეზების შედეგად ქონდროციტებში მიმდინარე მეტაბოლურ ტერეზთან. ქონდროკალინოზის შედეგად ჰალონურ ზრტილში ვითარდება ოსიფიკაციის მოვლენები, ამიტომაც სასახსრე ზრტილის შორსწასული დაზიანების პირობებში არაიმუთადად ნახულობენ პეტროტობული ოსიფიკაციის კერებს (L. Vastel, L. Kerboul, O. Dejean et al. 1999).

მატარებელი გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას შემდეგი მოსაზრებები:

- ქაღალური ხრტილის ზერულ-დებორჯანიზაცია შეუქცევადი პროცესია და მას საფუძვლად უდევს უჯრედშორის ნივთიერებამ პროტეოგლიკანების აგრეგატებისა და სუბერაგრეგატების დისკომპლექსაცია;
- ქაღალური ხრტილის ღრმა დებორჯანიზაცია შეუქცევადი პროცესია, მთვრდება კოაგულაციური ან კოლიკვაციური ნეკროზით და ხასიათდება ხრტილოვანი მატრიქსისა და II ტიპის კოლაგენური ბოჭკოების დებორჯანიზაციით;
- ქონდროკალცინოზი წარმოადგენს შეუქცევად პათოლოგიურ პროცესს, ხასიათდება ქაღალური ხრტილის კალციფიკაციის პროცესის დარღვევით და შეიძლება განხილული იყოს, როგორც დისტროფიული გაკერვის ნაირსახეობა:  
ქაღალური ხრტილის დაზიანება ვანაპირობებს მისი ბიომექანიკური თავისებურებების შეცვლას, რაც ფუნქციის მოშლის საფუძველს წარმოადგენს.

#### ლიტერატურა

- ჩიხლაძე რ. ექსპერიმენტული ოსტეო-ართროზის მორფოგენეზი // თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.XXXIV, თბილისი, 1998, 412-416;
2. Basic orthopaedic biomechanics / Eds. vC.Mow, W.Zhu, A.Ratcliff // Raven Press, New York, 1991, 432 p.
  3. Bone and joint disorders of the foot and ankle. A rheumatological approach. / Ed. M.Bouysset // Soringe-Verlag Berlin, 1998, -357p.
  4. Inui K., Yutani Y., Sakawa A. et al. Alteration of cartilaginous phenotype in experimental osteoarthritis. // SIROT 93 Seoul, 6th. General Meeting, Seoul, Korea, 1993, p.29-35.
  5. Vastel L.,Kerboull L.,Dejean O.,et al. Prevention of heterotopic ossification in hip arthroplasty. The influence of the duration of treatment.// International orthopedics (SICOT), 1999, vol.23, N2, p.107-110.

#### Харденишвили О., Чихладзе Р. РАЗНОВИДНОСТИ ПОВРЕЖДЕНИЯ ГИАЛИНОВОГО ХРЯЩА И ИХ МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ

#### РЕЗЮМЕ

С целью определения особенностей морфологических проявлений повреждения гиалинового хряща, на операционном и экспериментальном материале был исследован артрозный суставной хрящ. Анализ результатов проведенных исследований показал, что по особенностям морфологических и функциональных проявлений можно различить три вида повреждения гиалинового хряща: поверхностная дезорганизация хряща, глубокая дезорганизация хряща и хондрокальциоз.

**Khardzeshvili O., Chikhladze R.**  
**VARIETIES OF THE HYALIN CARTILAGE DAMAGES AND**  
**ITS MORPHOLOGICAL SPECIAL FEATURES**  
**SUMMARY**

In order to define special features of morphological manifestations of the hyalin cartilage damages on operation and experimental material, was studied arthrotic articular cartilage. Analysis of the results of the carried out studies showed that on special features of morphological and functional manifestations it is possible to distinguish three kinds of hyalin cartilage damages: superficial disorganization of the cartilage, profound disorganization of the cartilage and chondrocalcinosis.

6. ხელაია, რ. შენგელა, მ. გურგენიძე  
ბიომორფიკურად აბტიური ნივთიერებების შვედვაზე  
სამკურნალო საშუალებათა გამოყენება ქართულ  
ტრადიციულ მედიცინაში  
თბილ., მედიცინის ისტორიის კათედრა

როგორც ცნობილია, უბედურება ქართულმა სამედიცინო ტრადიციებმა ჩვენამდე ორი გზით მოაღწიეს: წერილობითი წყაროებით და ზეპირსიტყვიერებით. პირველს წარმოადგენს კლასიკური სამედიცინო დამწერლობითი ძეგლები, სოლი მეორეს - სამედიცინო ფოლკლორი ანუ ხალხური მედიცინა.

ქართველი მედიცინის ისტორიკოსების მიერ შესწავლულ X-XVII სს სამედიცინო ხელნაწერებსა და ხალხური მედიცინის ამასველ მასალებში წარმოდგენილი რთული რეცეპტურის გამოყენამ, სამკურნალო საშუალებათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ მათგანს ბოლოყოფიერად აქტიური მოქმედება ახასიათებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური და ვეგეტური წარმოშობის საშუალებები, რომლებიც სწორედ ამ ნიშნით დაეჯეგუვება.

ჩვენი მიზანი იყო აღნიშნული საშუალებების წინახწარი შეფასება თანამედროვე მედიცინის პოზიციებიდან.

მცენარეულიდან ბოლოყოფიერი აქტივობა ახასიათებს *Acorus calamus L.*, კაკის საცნელას - *Lithospermum officinalis L.*, ქაღანას - *Ferulago galbanifera (Mill.) Kach.*, უბანს *Ferula assa foetida L.*, მარამ საცნელას - *Peganum harmala L.*, სვინტრს *Polygonatum multiflorum (L.) All.*

პირამორული აქტივობის მქონე განსაკუთრებულ ეგუუს წარმოადგენს ზოგიერთ მცენარეთა გუშვისები (ჩის წიბო), კერძოდ: გუნდრეკი - მცენარისაგან *Cistus creticus L.*, დანამასტაკი - *Pistacia lentiscus L.*, დრაკონის სისხლი - *Dracaena cinnaburi Ralf.*, მური - *Balsamodendron myrrha L.*, საყაბუნა - *Convolvulus scamomoma L.*

აღნიშნული მცენარეები და გუშოსები გამოიყენებოდა ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა უშვილობა, დისმენორეა, იმპოტენცია, ანემია, ფულტეების ტუბერკულოზი და სხვ.

თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ზემოთაღნიშნული მცენარეთა მოქმედების მექანიზმი განპირობებულია მათში ისეთი ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების არსებობით, როგორცაა: კემარინები და ფეროკემარინები, ფეროკარბოლმაგები, ფლავონოიდები, სტეროიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული საბინები, სტეროიდული გლიკოზიდები და ალკალოიდები.

ცხოველური წარმოშობის საშუალებათაგან ბიოლოგიური აქტივობით ხასიალესან მუშკი, თახვის ყვერი და ირმის რქა.

ამირი მუშკის - *Moschus moschiferus* L. ჭიპსა და სასქესო ორგანოს მორის არსებულ საშესქესე ჩანთაში გამოიყოფა საშესქესე ვირკელის პროდუქტი - მუშკესი; ის მალაშის კონსისტენციისაა, აქვს მურა ფერი, მძერი დამახასიათებელი სუნი, რომელიც ვახშობისას ქრება. მაგრამ საძმარისა დასველდეს, რომ სუნი ყველა მძერი უხდება. შვიკავს კეტონ-მუშკოს- $C_{16}H_{36}O$  0,5-2%, ქოლესტერინს, ცხიმს, ცილებს, რძის მუკავას, კალუმის ფოსფატს, ამონიუმის მარილებს.

მუშკი, სხვა საშუალებებთან ერთად, მოწოდებულია მამაკაცის სქესობრივი უძლურების საწინააღმდეგოდ. ჩინურ მედიცინაში იგი გამოიყენება სისხლნაკლებობის, ნერვასიუნიის, ვიზების დაკარგვის, მშვიოთარე ძილის, ისტერიისა და ძველებში კრუნჩხვების დროს. ფროპული მედიცინა მუშკს გამოიყენებდა, როგორც სწრაფადმოქმედ მატონიზებელ საშუალებას. "სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსში" მას სოტბა აქვს შესხმული, როგორც ერთერთი უნიკალურ საშუალებას დამზლადაცებულ ადამიანთა სამკურნალოდ.

ქართული წყაროების მიხედვით მუშკს, როგორც მსტიმულირებელ საშუალებას იყენებდნენ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: "ვის გულსა შულებდეს, დაცემოდეს და ცნობა წაუდეს", "მოიწყება და არდასწავლისთვის", "კუკასა და ცნობას მოუმატებს", "შშობარეთათვის - ბუკლში ფრმათა დაამარებს", "უშვილობისას დაარსულებს", "ღვკაცსა დროზედ ღვდათა წესი თუ აღარ დაეპრობს", "მამაკაცობისა გარდაწყვეტისათვის", "გულსა გუშმარებს" და სხვ.

თახვის ყვერი *Sacci castorei* და, აგრეთვე, სხვა ცხოველების სათესლებების სუნიანი გამზაროფი სეკრეტი ამგზნებულად მოქმედებს ჯანმრთელ ირგანიზმზე. განსაკუთრებული ყვეტი აქვს წერეთელ წველებზე, გულ-სისხლძარეთა დაავადებებზე, რბილი ქსოვილების ტანებებზე, ვიზების დაკარგვის შემთხვევაში.

ქართულ წყაროებში მოითხოვლია მისი გამოყენება სპონტანური ამორტის საწინააღმდეგოდ - "ღაკის მუკლშიგან ფრმის დამკველი", აქნარეთს და დისმენორეთს დროს - "ღვდათა წესის დაკარგვა", "ღვკაცსა ოდეს წესი დაკლდეს", იმპოტენციის საწინააღმდეგოდ - "ოდეს მამაკაცობა მოკლდეს" და "თესლს ჩაუტენებს". სქმალოვეის და პარალელის დროს - "ოდეს ცალი ხელი და ფეხი, და ორივე დუღამბლდეს"

დღეს ამ საშუალებას იყენებენ მხოლოდ პარაფორმალური სუნამოების და საშაიდებლად.

მუშის და თახის სეკრეტების მოქმედება ნაწილობრივ აკავს ქაფრის მოქმედებას, მაგრამ ამ უკანასკნელის მოლეკულის აქტიური ვეგუმბი შედარებით ნაკლებ რაოდენობითაა ნაწილობრივ ატომები.

ირმის რქა - *Comu cervi* სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ადრე გაზავებულზე, ახლადამოსული, სისხლით მდიდარ და დარბილებულ მდგომარეობაში. ნორჩ რქებში მაქსიმალურად არის დავაროვლი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, გაზრდის და გამაგრების შემდეგ აქტიურობა ქვეითდება. რქების მწვერვალზე 25%-ით უფრო აქტიურია, ვიდრე მთელ სიგრძეზე. ირმის რქა შეიცავს 52-57% ირგანულ და 30-35% არაირგანულ ნივთიერებებს, 9-10% აზოტს და ცხიმებს. მინერალური შედგენილობა მდიდარი და მრავალფეროვანია. მასში აღმოჩენილია Ca, Mg, Fe, Si, P, Na, K, მცირე რაოდენობით Ni, Cu, Ti, Mn, Sn, Pb, Ba. მისგან გამოყოფილია 25 ამინომეცა, მათგან 38% შეადგენს გლიცინი, პროლინი, გლუტამინის მეცა. შეიცავს ლიპიდებს (ფოსფატებს, ქოლესტერინს და ქოლესტერინის თორებს).

ქიმიური შედგენილობის ამგვარი სპექტრი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ირგანულზე მოქმედებს არა მხოლოდ ერთი ნივთიერება, არამედ ნივთიერებათა კომპლექსი.

შესწავლილია, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე აქტიურად მოქმედებს აზოტოვანი, ხოლო კეჭ-ნაწლავის ტრაქტზე - ლიმბური ფრაქციები. გლუტამინის მეცა, რომელიც კიბოვანი და ქიმიური გაწმენდის შედეგად მიიღება, არფულორებს აზოტის ცულას ირგანულში იგი ფართოდ გამოიყენება ჩონჩხის კუნთების ფუნქციონირებისათვის, სრულ დაავადებებზე (ესტრესა, ფსიქოზი, დუნის სინდრომი, პოლიომიელიტი), იგი ხსნის ნეიროტოქსიკურ მოლეკულებს. მისგან გამოიყვანს თირაქსინი, რომელიც ფარისებრი ვირუსის პირამინის თირაქსინის და ტრიფლიორინის სინთეზის წყაროა. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია ფუნქციის დაქვეითებისას კრეტინინის და მიქედუმის სამკურნალოდ. ირმის რქებთან ერთად გამოიყენება, აგრეთვე, ხრტალი, მცენები და ჩლიქები: უნიშავენ უმეტესად ნაგებობით და მძიმე სენის შედეგად დაუბრუნებულ ბავშვებს და ტუბერკულოზით დაავადებულებს.

ქართულ წყაროებში ირმის რქა შედის ისეთი რეცეპტების შედგენილობაში, რომლებიც მოგვნილია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე - "კისაც გული მისდოვებს", "უბი გული ნულა უცემებს", ფილტვის ტუბერკულოზის საწინა-აღმდეგოდ - "ინეც სისხლს ამფრის ხველებისას, ერთი შესძიო შესწვეცს", "განსწავლოს თუ მარტვილის საფსწავლო დაავადება თუ აქცს", "ვანს გაუმგარებს და გაამრთულებს" და სხვ.

ეულკანური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებთან აღსანიშნავია მუ-მო. მისი უნიკალური თვისებების შესახებ ვერ კიდევ მორეულ წარხულში აღნიშნავენ თავიანი ნაშრომებში ბველი აღმოსავლეთის, ანტიკური ხანის, არაბეთის საღებავების თუ აღორძინების ხანის მკურნალები.

თანამდროვე გამოკვლევების თანახმად მუშიო შუიკას Al, Si, Ca, K, Na, Fe, Mg, P, Ba, Sr, B, Mn, N, Cu, Sn, Zn, Bi, Ni, Co, Be, Cr, Mo, S, T, H, C და მათ ვანებს მასში აღმოჩენილია სტეროიდები, ცხიმოვანი მჟავები, ამინომჟავები, ალანინი, არგინინი, ასარაგინის მჟავა, ვალინი, ჰისტიდინი, გლუტამინის მჟავა, ლეიცინი, პროლინი, მეთიონინი, სერინი, ცისტეინი და თიროზინი.

დღეისათვის დადგენილია, რომ მუშიო მნიშვნელოვანი ბიოსტიმულატორია ძვლოვანი ქსოვილების რეგენერაციისა და ჭრილობის შეხორცების პროცესში, აძლიერებს საჭმლის მომწელებელი და სასუნთქო სისტემების ლორწოვანი გარსის უჯრედების სეკრეციას და აძლიერებს ორგანიზმის დამცველობით ფუნქციებს, ასასიათებს ბაქტერიოციდური თვისებები.

ჩვენს მიერ შესწავლულ წყაროებში მუშიო მოწოდებულია ძველი, ინფიცირებული, ძველად შესახორცებელი და ნაფლეთიანი ჭრილობის შესახორცებლად. მაგ., "სიწვლულე გუამისა ანუ ძარღვისა", "დაკოდლი ვაუნდლეს", "ზეზელ ჩამოხევის, ან ძეალსა და კლდეზეა დაეხვის". მოტიხილობის, ამოვარდნილობის, დაბევილობის, იოვების დაჭმების ან განვეტის საწინააღმდეგოდ. მაგ., "ასოთა ამოვარდნილობისათვის და ჩაწურეტისათვის" და მალოდამა ჩამოვარდნისათვის და ასოთა დაჭეჭვლისათვის" და სხვა.

მუშიო აგრეთვე " შეშინებულ კაცსა გულსა გაუმარებს...", ე.ი. ავადყოფის საერთო სისუსტის ფონზე გამოიყენება. ეს ცნობა მეტისმეტად საგულისხმოა, რადგან დღევანდელი მონაცემებით მუშიოს მოქმედებით იზრდება ადამიანის ორგანიზმის საერთო რეაქტიულობა, იგი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, ხელს უწყობს ორგანიზმის იმუნობიოლოგიური მდგომარეობის გადარღვივებას და, ამდენად, აძლიერებს ორგანიზმის დამცველობით ფუნქციას.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაცია აღწერილი სამკურნალო საშუალებათა შეუასების შესახებ დასტურებს წარსულში მათი გამოყენების უპრობლემას.

ამჟამად მათ იყენებენ სამკურნალო პრაქტიკაში, როგორც ზოგადად მატონიზებელი სამკურნალო საშუალებებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუშიოს ახლავს ადამიანის ორგანიზმის ტონუსის გაძლიერების უნარი, რაც არა მარტო აშუშებებს დაეადების მომდინარეობას, არამედ ხშირად მის თაღიდან აციოლებასაც უწყობს ხელს

აქედან გამომდინარე სასურველია, რომ გაგრძელდეს აღნიშნული საშუალებების უფრო ღრმა შესწავლა, რათა მაქსიმალურად გამოვილინდეს მათში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედების სპექტრი და შესაძლო გახდეს მომავალში მათი ფართო პრაქტიკული გამოყენება.

#### ლიტერატურა

1. აბრამ შერლის კარაბაღინი. H-916 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 164 გვ.
2. აზრუბელის ცნობარი. თ 46 №6 საქ. მუდ. ისტ. მუზეუმი, 110 გვ.
3. ბაგრატიონი დ. იაღფარი დაუდი. თბილისი, 1938, 471 გვ.

4. კარაბაღინი კარგი და მარგებელი. Н-414 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 190 გვ.
5. მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1961, 260 გვ.
6. მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაცული ხალხური მედიცინის ფონდები (1961-1982 წწ.).
7. საქიმო წიგნი. Н-3045 ხელნაწერთა ინსტიტუტი, 442 გვ.
8. ფანასკერტელ-ციციშვილი ზ. სამკურნალო წიგნი-კარაბაღინი. თბილისი, 1978, 1007 გვ.
9. ქანანელი. უსწორო კარაბაღინი. თბილისი, 1940, 339 გვ.
10. ხოჯა ყოფილი წიგნი საქიმო. თბილისი, 1936, 381 გვ.
11. Абу Али Ибн Сина. Канон врачебной науки. Ташкент. 1982. т. 2. 831 с.
12. Амирдовлат Амасиаци. Ненужное для неучей. Москва. 1990. 879 с.
13. Берули. Фармакогнозия в медицине. Ташкент. 1974. т. 4.
14. Ибрагимов Ф. И., Ибрагимова В. С. Основные лекарственные средства китайской медицины. Москва. 1960. 411 с.
15. Ковалева Н. Г. Лечение растениями. Москва. 1971. 350 с.
16. Корпачев В. В. Целебная фауна. Москва. 1989. 186 с.
17. Муравьева Д. А. Фармакогнозия. Москва. 1981. 656 с.
18. Современная фитотерапия. Под ред. В. Петрова. София. 1988. 504 с.
19. Турова А. Д., Саложникова Э. Н. Лекарственные растения СССР и их применение. Москва. 1974. 287 с.
20. Шакиров А. Ш. Мумие – асиль в комплексном лечении переломов костей. Ташкент. 1976. 145 с.
21. Шретер А. И., Муравьева Д. А. Лекарственная флора Кавказа. Москва. 1971. 350 с.
22. Яшвили А. О. Народная медицина в Закавказском крае. Тифлис. 1904. 134 с.
23. Heinz A. Hoppe. Taschenbuch der Drogen Kunde. Berlin, New-York. 1981. p. 417.
24. National formulary of Unani Medicine New-Deli. 1981. part I.

**Хелая Н., Шенгелия Р., Гургенядзе М.**  
